რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ლიდა ასოებით ასოზე—1 კაპ., ჭრთ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მომავალ წელსაც „დ რ ო ე ბ ა“ მუდამ დღე გამოვა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„	კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50	„
ოთხის თვისა	3 „	„	„

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

შიპკა, 4 იანვარს. 28 დეკემბერს, შიპკასთან, ჩვენ 25 კი არა 32 ათასი კაცი დაგვიტყვევებია; 93 ზარბაზანი და 10 ბაირაღია ჩაგვივარდა ხელში.

ოსმალოებმა მიატოვეს სლივენი და იამბოლისაკენ მიდიან. ჯურსათს სწვევნ გზაზე. შეერდიცა ჩვენმა ჯარებმა დაიჭირა; სლივენისა და იენი-ზაგრისაკენ ჩვენი ატრიადებია გაგზავნილი. მემკვიდრის კორპუსის ატრიადები აიასლარამდინ მივიდნენ; გზაზედ ოსმალოს ჯარი შეხვდათ, რომელთაც გამოაცხადეს, რომ იმათ აღკრძალული აქვთ რუსს თოფი ესროლონ და ითხოვეს, რომ წინ ნუ გაიწევთო. ღენ. სტრუკოვი 2 იანვარს ალადაგამდინ მივიდა თავის ჯარით. ოსმალოები ყველგან გაიქცნენ. ღენ. კარცოვის ქვევითა ჯარი ყარათაფრაქამდინ და აქედამ ზურკოს ატრიადთან კავშირი გამართა.

დღეს მომივიდა რეუფ-ფაშის ტელეგრამმა, რომელიც მაცნობებს, რომ სერვერ-ფაშა და ნამიკ-ფაშა მოდიან ჩვენთან დროებითს მორიგებაზე მოსალაპარაკებლად. 5-ს ან 6-ს უნდა მოვიდნენ აქ ისინი.

რედაქციისაგან

წინანდელი წლებისაგან დაჩვეულებმა ამ წელსაც პირველი ნომერი „დროებისა“ მხოლოთ 500 ეგზემპლიარი დავაბეჭდვინეთ. ეს ხუთასივე ეგზემპლიარი გაზეთისა იანვრის პირველ დღეებშივე გავიდა თუ ხელის-მომწერლებზე და თუ ცალკე ნომრების გასყიდვით. მეორე ნო-

ამის გამო ბოდიშს ვიხდით ამ წლის ხელის-მომწერლებთან, რომელნიც დღეის შემდეგ დაიბარებენ გაზეთს, რომ ეს პირველი ნომერი ამ წლისა იმათ ვერ გაუგზავნოთ. დანარჩენი №№ კი ყველას სრულად მოუვათ.

მრიდამ კი უფრო მომეტებულს ვაბეჭდვინებთ.

ფელეტონი

მასლაათი

ბრძოლის, ჩხუბის ნიშნებით დაიწყო შარშანდელი წელიწადი, ბრძოლით გათავდა და წლევანდელიც ბრძოლითა და ჩხუბით იწყება.

ხელმწიფე ხელმწიფეს ებრძვის, ადამიანი ადამიანს...

რუსეთი ოსმალოს ეომება, ინგლისი რუსეთს შორიდამ უბღვერს და უნდა და ვერც მოუხერხებია ამათ ბრძოლაში გაერიოს; გერმანია საფრანგეთს შესჩერებია; საბერძნეთი მკლავებს იმზადებს სამუშტი-კრივოთ!

ადამიანებს შუა ჩხუბი და ბრძოლა ხო ქვეყნის დაარსებიდამვე არ შეწყვეტილა და არც შესწყდება, თუმცა ზოგიერთი ფილოსოფოსები გვიქადიან, რომ ოლონდ ჩვენი სწავლა და დარიგება მიილეთ და დედა-მიწაზე ისეთივე მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრება ჩამოვარდება, როგორც მაღლა ცაში ანგელოზებს შუა ჰსუფევსო! საქმე იქამდინ მივიდა, რომ ამას წინათ ერთს პიტიოსან ბერსა და დიაკვანს შუაც კი მომხდარა ჩხუბი: ბევრი უთრევიათ ერთმანეთი და ბოლოს დიაკვანი სულში წასულა საჩივლელად...

ჩვენი ქალაქის მთელი ღარიბი ხალხი, ე. ი. ხუთი მეექვსედი ქალაქის მცხოვრებლებისა, შიმშილსა და სიცივეს ებრძვის.

იმ დანარჩენს ერთ მეექვსედსაც თავის მხრით უფალმა ტატომ თავის კამპანიით გამოუცხადა ბრძოლა!

✕

როცა ამნაირის ნიშნებით იწყება წელიწადი, მეფელტონე, რომელიც პატარა სარკეა საზოგადოების დიდი ცხოვრებისა, განსაკუთრებულს მხიარულს გუნებაზე არ უნდა იყოს. ცხოვრება თუ არ წარმოუდგენს იმას საამო და მანუგეშებელ მოვლენათ, მაშ საიდამ გამოვიდეს იმის ფელეტონი სასიამოვნო და მხიარული?

✕

გუშინ ნათლის-ღება იყო. იცით—რას ნიშნავს ნათლის-ღება?

ქრისტეს ამით უნდოდა ეჩვენებინა თავის მომხრეებისათვის, რომ დღეის შემდეგ თქვენთვის ახალი, უკეთესი ცხოვრება, ახალი რწმუნება, ახალი ბედი დადგაო!

ათას რვაას ორმოც-და-შვიდმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ქრისტე და იმის მორწმუნენი მოინათლენ; მაგრამ ჩვენ კიდევ თითქმის ვერ გავთავისუფლებულვართ იმ გაუწყნარებელ შფოთისა, აყალ-მაყალისა, ერთმანეთის მტრობისა და კერპთ-თაყვანის-მცემლობისაგან, რომელნიც ჰსუფევდნენ ქრისტეს დროს, ძველად და საშუალ საუკუნოებში.

ჩვენი ჯარები მსწრაფლად და დაუბრკოლებლად მიდიან წინ.

შიპკა, 5 იანვარს. ღამით 3 იანვარს დრაგუნებმა აიღეს რელსები ფილიპოპოლისა და იამბოლის რკინის გზისა; ოსმალოს ჯარი ფეხით მიდის ადრიანოპოლისაკენ.

დრაგუნებმა მოიტანეს ამბავი, რომ სულეიმან-ფაშამ, რომელიც ამჟამად ფილიპოპოლშია, ბრძანება გასცაო, რომ ყველაფერი დასწვან. ბაზარჯიყი და ფილიპოპოლი იწვისო.

2 იანვარს დრაგუნები დაეცნენ ტირნოვოს სტანციას, გააფუჭეს რკინის გზა და შემდეგ ისევ უკან დაბრუნდნენ; მეორე დღეს ღენ. სტრუკოვი ხელ-ახლად მიადგა ტირნოვოს; ოსმალოს ჯარმა 300 კაცმა და 5,000 დაიარაღებულმა მცხოვრებლებმა მიატოვეს ქალაქში 6 ზარბაზანი და გაიქცნენ. ამ დროს ჩვენის მხრით მხოლოთ ერთი დრაგუნია დაჭრილი. აქვე ჩვენმა ჯარებმა წაართვეს მტერს 200 ურემი სხვა-და-სხვა სურსათით სავსე, 1000 ძროხა და 300 ცხვარი.

შიპკა, 5 იანვარს. მომივიდა ამბავი, რომ სერბიის ჯარს, ნიშის ციხის აღების დროს, დიდძალი თოფები, სასროლები და ზარბაზნები ჩავარდნია ხელში.

დუნაიზე სქელი ყინული მოდის.

შიპკა, 6 იანვარს. 4 იანვარს ღენ სკობელევი ცხენოსანი გვარდიითა და ღენ. კარცოვის ცხენოსანი ჯარით შევიდა ფილიპოპოლში. ბოლგარიელების დუქნებს ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ ჩვენებმა მალე დააქრეს. დაწვრილებული ამბავი ჯერ არ მოსულა.

გუშინ ღენ. გურკოსაგან მოვიდა 9 ბაირაღი, რომელიც ჩვენ ჯარებს წაურთმევია მტრისათვის.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

დღეს, შაბათს, უეცრად, არ ვიცით— საიდამ, ქალაქში ხმა გავარდა, ვითომც გუშინ, 6 იანვარს, ჩვენი ჯარები (ქობულეთის ატრიადი) მეორედ მიდგომოდეს ციხის-ძირს ასაღებად; მაგრამ, გაცხარებული სროლის შემდეგ, ჩვენები ისევ უკან დაბრუნდნენო.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ „ხმას“ ჩვენ ვერ ვერწმუნებით, რადგან ამის შესახებ ოფიციალურად ჯერ არავითარი ამბავი არ მოგვსვლია.

—

ამაზე უფრო ნაკლები რწმუნების ღირსია მეორე ხმა, რომელიც აგრეთვე დღეს, შაბათს, გავრცელდა ქალაქში: ვითომც ინგლისმა რუსეთს ომი გამოუცხადაო.

დღევანდელს ტელეგრამებში წაიკითხავთ დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ოფიციალურს ტელეგრამმას შიპკოდამ, რომ გუშინ ან გუშინწინ შიპკოში უნდა მოსულიყო ორი წარმომადგენელი ოსმალეთისა სურვერ-ფაშა და ნამიკ-ფაშა, რომელთაც მინდობილი აქვთ ჩვენებთან მოლაპარაკება დროებით მორიგების თაობაზე. ამავე საგანზე ჩვენკენ, მცირე აზიაში, იზმაილ-ფაშამ უნდა მოელაპარაკოს ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვს.

მხოლოთ მაშინ, როდესაც ჩვენ მოგვივა ნამდვილი ამბავი, რომ ეს მოლაპარაკება მოწინააღმდეგეთ დათანხმებით არ გათავდაო, მხოლოთ მაშინ შეიძლება ცოტაოდენი რწმუნება მიეცეს, ისიც ძალიან ცოტა, იმ ხმას, რომ ინგლისმა რუსეთს ომი გამოუცხადაო...

—

„კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგ დეპეშა 5 იანვარს ყარსიდამ მიღებული:

„არზრუმს ყოველის მხრიდამ არტყია ჩვენი ჯარი. ტრაპიზონისა და ბაიბურთის გზა ამ ქალაქს შეკრული აქვს. მალე ზარბაზნების დაშენა უნდა დაუწყოთ არზრუმის ციხეებს. ჯარში სახადი და სხვა ავათმყოფობა თან-და-თან სძლიერდება, თუმცა ეს ჩვენი ჯარი [illegible] გაჭირებასა და სიცივეს ითმენს.

—

რუსეთის ტელეგრაფის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ზივინში გაიხსნა ტელეგრაფის სტანცია და ყველა მსურველს შეუძლიან დეპეშების გაგზავნა და მიღებაო.

—

ჩვენი ახალქალაქელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ ყარსის აღების შემდეგ, ჩვენში დიდ-ძალი პური შემოდის ოსმალეთიდამაო და ამის გამო ძალიან გაიაფდაო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

დღევანდელი ოფიციალური ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ რუსის ჯარებს ქალაქი ფილიპოპოლი აუღიათ. ფილიპოპოლიდამ ადრიანოპოლამდინ თითქმის იმდონია (120 ვერსამდინ), რამდენიც სოფიიდამ ფილიპოპოლამდინ; თითქმის ამდენივე გზა დარჩებათ რუსებს სტამბოლამდინაც...

მაგრამ საფიქრებელია, რომ საქმე ასე შორს არ წავა, რადგან ამ ჟამად შიპკოში დროებით მორიგებაზედ არის სჯა რუსსა და ოსმალოებს შუა.

—

სტამბოლიდამვე 28 დეკემბერს მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ ოსმალოს ჯარს სპუცთან დაუმარცხებია ჩერნოგორიელები და მნიკოისაკენ გაუდევნია.

—

ჩერნოგორიიდამ იწერებიან, რომ ჩერნოგორიის ჯარის უფროსი, ბოჟიდარ პეტროვიჩი ანტივარის ციხის აღების შემდეგ, სკუტარისაკენ წავიდა თავის ჯარითაო.

—

ვენიდამ 29 დეკემბერს „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში:

„სულეიმან-ფაშა გადააყენეს ოსმალოს

რასაკვირველია, კაცობრიობა მას აქეთ წარმატებაში შევიდა; ბევრი რამ მოიგონეს კაცის ცხოვრების გამაუკეთესებელი და გონების გამანათლებელი. მაგრამ ყველა ამით ისარგებლა უფრო ესრედ-წოდებულმა მაღალმა, კეთილშობილმა საზოგადოებამ; უმრავლესობამ, ხალხს კი მაინც-და-მაინც ბევრი არა შეჰმატებია-რა: იგივე უმეცრება, იგივე ცრუ-მორწმუნება, იგივე სილატაკე ეკონომიური და დამცირება ზნეობითი...

×

კაცმა მოიგონა მაგალითად პოლიცია. რისთვის? იმისთვის, რომ ქალაქებში წესიერება იყოს დაცულიო და ვინც უწესოებას ახდენს, ამ პოლიციამ დაიჭიროს და სამართალს მისცეს ხელშიო.

მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას: ზოგიერთ ქვეყნებში თვითონ ეს პოლიცია ახდენს ხოლმე ხშირად უწესოებას და ამით უფრო აწუხებს ხალხს...

მოგვეხსენებათ ის გამოჩენილი „ლეკოკის“ ამბავი, რომელმანც ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ ერთს წარჩინებულ თავადს მიუსია ავაზაკები იმ განზრახვით, რომ როცა ესენი კარების ჩამტვრევას დაიწყებენ, მივასწრებ, ამათაც გავდევნი, ბრწყინვალე თავადსაც ვითომ დავიცვავ ავაზაკებისაგან და მეც მთავრობისაგან ყურადღებას დავიმსახურებო!

მოგვეხსენებათ აგრეთვე ერთი ქალაქის ერთ დროინდელი პოლიცმეისტრის გარემოება, რომელიც თვითონ წინამძღოლი იყო ავაზაკებისა და რომელიც ერთს ნაწილს ამ ავაზაკებისას ერთს უბანში გაგზავნიდა საავაზაკოთ, და როცა მთელი პოლიცია იმ უბანს მიაწყდებოდა, მეორე ავაზაკები ამ დროს მეორე უბანს სცარცვავდნენ ქალაქისას და „ნაშოვარს“ სანახევროდ იმას მიართმევდნენ..

სხვა საშუალებაც ჰქონია ხალხის დასჯისათვის ამავე პოლიცმეისტერს: ვინც არ მოეწონებოდა, სხვა-და-სხვა აღკრძალულ წიგნებს შეუყრიდა და შემდეგ სადგომს გაუჩხრეკდა. ამნაირად თავის კერძო მტერსაც ღუპავდა და თვითონაც მთავრობისაგან ყურადღებას იმსახურებდა.

×

ავილოთ მეორე მაგალითი: კაცმა მოიგონა ექიმობა სნეული ხალხის განსაკურნებლად.

მაგრამ რამდენი მაგალითი ვიცით, მე და თქვენ, ჩემო მკითხველო, რომ ექიმს მოეკლას და არ მოერჩინოს თავის ავათმყოფი!

ჩემს პატარაობისას, ქუთაისში, იყო ერთი ური განემეცებული და შემდეგ გარუსებული ექიმი, რომელიც ვისმე რომ ბრჩხილი წამოსტკენოდა, განგებ მძიმედ გახდიდა ავათ და მერე გამოუცხადებდა ჭირისუფლებს, რომ თუ ამდენი-და-ამდენი არ მომეცით, თქვენი ავათმყოფი მოკვდებაო!

+

ჯარის მთავარ-სარდლობიდგან და სტამბოლში იხმეს. ამბობენ, რომ რეშიდ-ფაშამ მხოლოთ იმ პირობით იკისრა ოსმალოს ჯარების უფროსობა, თუ სულეიმან-ფაშა აქედამ წაყვანილი იქნებაო.

საქართველო

ღლიური

*** ბუშინ, ნათლი-ღება ღღეს, დიდი ამბები, მეერი ლოთობა და ქეიფი იყო ჩვენს ქალაქში. ჩვეულებრივად წელსაც აღმოჩნდნენ ისეთი გამბედავი პირები, რომელთაც ამ სიცივეში და ყინვაში არ მეორიდნენ მტკვარში ბანაობას. ამათგან, როგორც გვიგრეს, ერთი იმ წამსვე მოკვდა თურმე. როგორც წყლიდამ გამოვიდა. ბასაკვირველია, რომ ამ ღღეს ქურდობა, მგონი, სულაც არ მომხდარა ქალაქში...

*** ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი პატარა ქართული წიგნი, რომლის პირველი ფურცლიდამ სჩანს, რომ ის არის გადმოწერილი წასულს საუკუნეში სვანეთის მთავრის შვილის თავადის ბელოვანისაგან, რომელიც 1730 წლებში ყოფილა თფილისში და უსწავლია მაშინდელს აქაურს სემინარიაში ფრანგის მისიონერების ხელში.

ეს წიგნი მით უფრო საინტერესოა, რომ იმაში არის აწერილი მეფე ვახტანგის თფილისიდამ მოსკოვამდინ მოგზაურობა 1727 წ. და შეიცავს ისტორიისათვის გამოსადეგ მასალებსა.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზაქართალის მაზრიდგან, 25 დეკემბერს. აქაურობა დამშვიდდა. არსაიდგან არა ისმის-რა. თითქოს გაყინულა ყველაფერი, ცაცა და ქვეყანაცა. სიცივემ უღალატა ტკბილ-ხმოვან მომღერალს ფრინველებს, გატიტვლებულ მთა-ბარტყებმან კიდე ძროხა-პარიებს და სხვადა-სხვა ხელოსნის დასტებს. ამათ ყველას ტყე ჰფარავდა თავის ფოთლებს ქვეშ; მაგრამ დახედეთ ბუნების ერთის მხრით სიმუხთლეს—რომ მან მოავლო საფარი ბოროტის ჩამდენთ და იგინი გამოიყვანა ტიტველა მინდორზედ, საცა მათი მოქმედების დანახვა ყველას შეუძლიან; მეორე მხრით მის პატიოსნებას, რომ იგი არაფერს ცუდს და კარგს არ მალავს, ადრე თუ გვიან აჩვენებს საზოგადოთ ხალხს!

ბანა საკვირველი არ არის, ამის შემდეგ, რომ ბევრს სწყინთ, როცა მათზედ რამე იქნება ხოლმე გაზეთებში ან ცუდი, ან კარგი (რასაკვირველია, უფრო ცუდი) დაწერილი? ბანა არტემა კარგ კაცათ ჩაგთვლით, თუ იმის პურის სარწყავს კასრს ძირი გაჰფუჭებოდეს, და თქვენ უთხრათ:

— ეი არტემ, შენს პურის სარწყავს ძირი გაუკეთე, თორემ ჩემი ‘ამაგი ზაიათ, უბრალოდ მიჰდის?!

ეხლა ჩვენში საშინელი სიცივეა და მუხლზედ თოვლი. ისე გადათეთრებულა ჩვენი მაზრა მთლათ თოვლით, როგორც რომ უდროო მოხუცებულის თავპირი მომეტებულ დარდებისაგან. ავ კაცს ვერ შეუძლიან ამ ჟამად ტყე-ღრეში და მათ ფოთლიან ჩრდილებში თავის მოფარება და გარდაჩენა: ყოველს საცოდავს დამალულს ყველა ჰხედავს.

ამბობენ, რასაკვირველია ბოროტ ენები, რომ ამ ზამთრის გასვლის შემდეგ, ერთი სხვა გვარი, ღღეგრძელი და ძალიან ცივი ზამთარი დადგებაო შინაურ და უფრო დიდ-ბოროტ ტების ჩამდენ პირებისთვინ.

ამბობენ, აქ შემდგარა ერთი პატარა წრე, რომელსაც მიზნათ ის ექმნება, რომ ადგილობრივ გაზეთებში გამოაცხადოს ყოველგვარი ბოროტი მოქმედება, რომელსაც რაიმე ცუდი გავლენა ჰქონდა და კიდეც ექნება ზაქათალის მაზრის ხალხის კეთილ-ცხოვრების წარმატებისთვისაო.

ამ ჟამად აქაურის ხალხის მდგომარეობა ისეთია, რომ მთელს მაზრაში ერთს პირს ვერ იპოვნით, რომელიც ეკუთვნოდეს ბუნებითი ადგილობრივ მცხოვრებლებს და იწერდეს რომელიმე გაზეთს; ჟურნალების ხომ რაღა თქმა უნდა. ვინც-კი ჟურნალ-გაზეთებს იწერენ, უთუოთ სხვა ადგილებიდგან არიან აქ მოსრულნი სამსახურში. აქ გაზეთები ადგილობრივ ხალხს პატარადან მოკიდებული დიდამდის-ყველას ბრძანების ქაღალდათ, უქაზებათ მიაჩნიათ.

ეს გარემოება კარგათ გვიჩვენებს რა ნაირ მდგომარეობაშიაც არის აქაური ხალხი.

ამ გვარ ხალხის გონებითი მდგომარეობით, აქ მოსრულნი პირნი, რომელთაც მიზანი გამდიდრება იყო, ძალიან დახელოვნებულად სარგებლობდნენ. მე მიჩვენებენ ეხლა აქ იმ ნაირ პირებს, რომელთაც თითქმის შიმშილით არ იცოდნენ სად ჩაცვივნულიყვნენ; ეხლაკი ისეთი სახლები წამოუყენებიათ, რომ სასახლებად მიგაჩნდებათ. ეს სახლები, როგორც გავიგე, ერთს აქაურს უბრალო მწერალს ეკუთვნისო, რომელიც კურტნებში გახვეული ექვსი თან ხუთი წელიწადი ამაზედ წინ გადმოვიდაო აქ სამსახურში. ამ გვარი პირები

ამგვარსავე მოვლენას წარმოგვიდგენენ ჩვენ ადვოკატები, რომელნიც თუმცა ბრალდებულის გასამართლებელად და მოჩივრის ინტერესის დასაცველად არიან დაარსებული, მაგრამ უფრო ხშირად მართლის საქმეც ისე მოჰყავთ, რომ ამტყუენებენ და რომელნიც მომჩივრის ინტერესებს იმდენად აქცევენ ყურადღებას, რამდენათაც ეს ინტერესები იმათ კერძო ჯიბეს სარგებლობას აძლევს.

ამგვარსავე მოვლენას წარმოგვიდგენს ახლანდელი ჩვენი ქალაქების გამგეობანი, ხშირად ჩვენი სამღვდელოებაც და სხვ. და სხვ.

+

ველარავის და ველარაფერს ველარ ენდობი, ერთის სიტყვით, კაცი,—ისეთი დროება დადგა...

როგორ ვიფიქრებდით, მაგალითად, რომ „Le Temps“-ის კორრესპონდენტს უფ. დე-ქუტულისა და ჩვენებურ სომხებს შუა რაიმე უსიამოვნება მოხდებოდა!

მაგრამ წარმოიდგინეთ ამ ცრუ ქვეყნის საქმეთა ბრუნვა:

ამას წინათ ამ კორრესპონდენტს, რომელმანც ასე აქო და ადიდა ჩვენი სომხები, რაღაც უბედურათ ერთი მკვახე, მქავე სიტყვა წამოსცდენოდა პირიდამ... ივწამსვე იმავე ახალგაზდა სომხებმა, რომელნიც უფ. დე-ქუტულიმ ასე აღამაღლა და განაძღიერა თავის კორრესპონდენციებში და რომელნიც ამისაოვის იმას მიწას ფეხებს არ აკარებინებდნენ, ვამბობ ამავე ახალგაზდა სომხებმა ერთად შეთხზეს წიგნი და მოსთხოვეს, რომ ახლათ—ახლავე „უკან წაეღო თავის სიტყვები“, თორემ ყველანი სათითაოდ დუელში გამოგითხოვთო! და უპატრონო და საწყალი უცხო ქვეყანაში გადმოვარდნილი კორრესპონდენტი იძულებული შეიქნა უკან წაეღო თავის სიტყვები!..

+

ასე დატრიალობს ქვეყნიერება: ღღეგანდელი ნადიმი ხვალ ქელეხად გექცევა, ღღეგანდელი გულითადი მეგობარი ხვალინდელ დაუძინებელ მტრად, წარმატების და განათლების გასავრცელებელი საგანი უგუნურების მომფენად, კეთილის დასათესად დაარსებული ბოროტსა სთესავს!

ამისთანაა „სოფელი ასე ცრუ და მუხთალი!“

მაგრამ... მაგრამ ჩვენ ჩვენი მუდმივი იმედი მაინც არ გვეკარგება: რომ ცოტ-ცოტათი კეთილი დასძლევს ბოროტსა და ოდესმე ბედნიერება და ბედნიერნი უფრო მომეტებულნი იქნებიან დედამიწაზე, ვიდრემ უბედურება და უბედურნი...

ამ დროების მოლოდინით ვინუგეშოთ თავი და ახლა ამ ღღესასწაულებში ჩვეულებრივად ვიმხიარულოთ, ვიქეიფოთ...

სოლოლაკელი

აქ ბლომათ მოიპოებიან...

აბა ამათ რაში ეჭაშნიკებათ იმ გვარი წრე, რომელსაც ექნება ისეთი მიზანი, როგორც ზევით მოვიხსენეთ? რასაკვირველია, მათ ამ წრესაგან ძალიან შესცივდებათ, თუ დაინახვენ თავიანთ ცოდვებს საზოგადოთ გამოაშკარებულს. სულით და გულით ვისურვებთ ამ წრის დღეგრძელობას. ეს წრე შეუდგება თავის მიზნის სისრულეში მოყვანას მომავალს იანვრიდგან.

სოფლური ხალხი მიეცა ისევ თავის პატრიოსნურ შრომას. ისეთი მშვიდობიანობა არის, გეგონებათ თითქოს აქ სულობით არაფერი არ ყოფილაო, არც ლეკების მოსვლაზედ და არც წასვლაზედ. ბევრის ჩალთუქები მოუმკელი თოვლის ქვეშ არის; ბლომათაც უთოვლნია; აქ ბევრს გლეხს ჯერ პურების თესვაც ვერ გიუთავებია.

ჩალთუქის გარდა სხვა შემოსავალი სულ შამოაგროვეს. ვისაც ყვანდა ქალი გასათხოვარი, გაათხოვა და შვილი დასაქორწინებელი ყვანდა, დააქორწილა შესაფერის ქორწილით.

მაგრამ სიცივე რას დააკლებს სოფლელების მყუდრო და მშვიდ ცხოვრებას, როდესაც გლეხს ეზოში აქვს ბლომად შეშა, ღვინო, არაყი, ჩალთუქი, პური, ქერი, ფეტვი და, თუ გნებავთ, ხახვი, ლობიო და შვინდიც-კი.

მაშ ბედნიერი ცხოვრება ჰქონიათო, იტყვით, გლეხებს!

ჰო და, დაუმატებთ ჩვენც, ძალიანაც კი ბედნიერად იცოცხლებდნენ ჩვენებური, აქაური გლეხები, თუ მათს ცხოვრებაში შხამი არ გაერიათ აქაურს ვაჭრებს. გლეხების დრო ახლა მოვალეებთან ანგარიშობაში, თამასუქის გამოცვლაში, მიწების ვალებში დაჭერაში და მეტი „დაგიწერიაო“ დავიდარაბაში და ვაი-ვაგლახობაში გაივლის.

ამ დღეებში ჩვენ უ. ბოგუსლავსკისთან ვნახეთ ერთი შესანიშნავი არზა, რომლის შინაარსიც მოგვყავს.

„ჩვენ ორი წელიწადი ამაზედ წინ— სწერს გლეხი—ნ—გან ვიყიდეთო ქორწილისთვინ 46 მანეთის ფარჩაო. ამაში ნ—მან ჩვენგან წაიღო ორი თალარი ბრინჯი, თორმეტ-თორმეტ მანეთათ ორი თალარი ღვინო, რვა-რვა მანეთად და ხუთმეტ მანეთის პარკიო. ახლა კიდევ მომდგომიაო და მთხოვსო, ჩემ 46 მანეთი მომეციო, თორემ შენზედ საჩივარს შევიტანო....“

ამ გვარ საძაგელ საქმესაც თვითონ სჩადიან და სხვებზედ საჩივრებსა აძლევენ, რომ მათ ცუდათ ეპყრობიანო! ამისთანა უსვინიდისო გამბედაობა განა გაგონილა სადმე! აი რა ქეიფებში არიან აქაური გლეხები ვაჭრების ხელში..

ფირუაშვილი

ახალი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

	ფაეტონის	დროშკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება	1 მან. 20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—	2 „ —	„ 1 მან. 50 „
—დამოქნამდინ—	1 „ 50	„ 1 „ — „
—ქალაქ. ყველგან	1 „ —	„ — „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.—	„ 80	„ — „ 50 „
— ნავთლუღიდამ	1 „ 50	„ 1 „ — „
რკინის გზამდინ და უკან — —	—1 „ 30	„ — „ 90 „

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

დაიკარგა

ქართული ლოცვის წიგნი ხავერდის კაზმიანი მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს იარმუკაზე დემუროვის სახლში № 4 რომლისათვინაც მიიღებს **სამს მანეთს საჩუქარს**.

მიეცემა
სასესხებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ **მუდამ კვირას ანუ თვეში** გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან-ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზია, ში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

რკ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 4 იანვარს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 23 პენსი.	—	78
პარიჟში 256 სანტიმი.	—	62
ესკონტი(სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	95	50
მოგებიანი(პირველი სესხ.)	229	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	226	50
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკი	85	25
მოსკოვის . .	85	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკურის .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 7 იანვარს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	20
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	9	50
—ამერიკისა, ფუთი . .	10	—
გაპენტილი ბამბა ფუთი.	12	—
მატყლი თუშური ფთ.	7	70
—თარაქამისა ფთ. .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	5	90
ქონის სანთელი ფუთი.	7	80
სტეარინის სანთელი, ფ.	14	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა .	—	72
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	9	20
— ფხვნილი ფუთი . .	8	40
ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	45

Дозволено цензурою Тифлисъ, 8 *Января 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.